პროლეტარიანებო ყველა ძვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 186 (19927) ხუთშაბათი, 13 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის სრულყოფის შესახებ“.

აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გადაუდებელ ამოცანათა წარმატებული შესრულების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის პუტაპროდუქტების სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიას, ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, განახორციელონ აგროსამრეწველო წარმოების მეცნიერული უზრუნველყოფის ძირეული გარდაქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად.

დასახულია ამოცანა, რომ წარმოებასთან მეცნიერების მჭიდრო ინტეგრაციის საფუძველზე მივაღწიოთ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო-ტექნიკური და სამეცნიერო პოტენციალის დიდ უკუგებასა და მისი ეკონომიკური ეფექტების ზრდას. ყოველმხრივ განვავითაროთ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკავი და სხვა საწარმოების პრაქტიკაში მეცნიერული მიღწევათა დანერგვის მასშტაბურობა და დინამიზმი და უმოკლეს ვადებში მთლიანად უზრუნველვყოთ ქვეყნის მოსახლეობა ყველა სახეობის სურსათით, მრეწველობა კი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საპროექტო საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების მეცადინეობა ხმარდება იმას, რომ გადაწყდეს აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შემდეგი ძირითადი ამოცანები:

მიწათმოქმედებისა და მემცენარეობის დარგში — ისეთი კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ნიადაგების ნაყოფიერების გაფართოებულ აღდგენას, ეროზიისაგან მათ დაცვას, გარემოს დაცვას, ბუნების რაციონალურ გამოყენებასა და მინდორსაცავი ტყის გაშენებას, მიწათმოქმედების, განსაკუთრებით სამარცვლე მეურნეობისა და საკვებწარმოების პროდუქტიულობისა და სტაბილურობის გადიდებას. მარცვლეულის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანი კულტურების თესლის, ბამბის, სელის, უხვცილოვანი საკვებისა და მემცენარეობის სხვა პროდუქციის წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიების სრულყოფა ქვეყნის კონკრეტული ზონების მიხედვით. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ისეთი პრინციპულად ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების შექმნა, რომლებიც გამოირჩევა გარეგნოს არანელსაყრელი ფაქტორებისადმი გამძლეობით, დიდი პროდუქტიულობითა და კარგი ხარისხით. სასელექციო ცენტრებმა 1995 წლისათვის უნდა გამოიყვანონ საგაზაფხულო ხორბლის საადრეო ჯიშები ცომბრისა და ჩრდილოეთ ყაზახეთის რაიონებისათვის, რომელთა საეგეტაციო პერიოდი განისაზღვრება 80-85 დღით და პოტენციალური მოსავლიანობა — 50-60 ცენტნერით; სიმინდის საადრეო ჰიბრიდები, რომელთა საეგეტაციო პერიოდი იქნება დაახლოებით 85 დღე და მარცვლეულის მოსავლიანობა 70-80 ცენტნერი; საშემოგვიმო ხორბლის ყინვამდეგი ჯიშები, რომლებიც მოვაცემს 90-100 ცენტნერს; უცვენელი ბარდის ჯიშები, რომელთა მოსავლიანობა იქნება 50-60 ცენტნერი; მზესუმზირას იმუნური და საადრეო ჰიბრიდები, რომელთა მოსავლიანობა 40-45 ცენტნერს შეადგენს; ყარტოფილის ჯიშები, რომლებიც 450-500 ცენტნერ მოსავალს მოგვცემს; ითნჯის, სამყაურას და სხვა კულტურების უხმოსავლიანი ჯიშები. უეცარსო საფუძველზე ჯიშგამოცდის სისტემის, მეთესლეობის ორგანიზაციის გაუქმებისება.

მცენარეთა ქიმიზაციისა და დაცვის დარგში — მცენარეთა ზრდისა და განვითარების ფაზების, აღმოცენების პირობების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მინერალური კვების თეორიული კვლევის გაღრმავება. სასუქის, ქიმიური მელიორანტებისა და ზრდის რეგულატორების გამოყენება უფრო ეფექტიანი საშუალებების შემუშავება. მავნებლებისა და დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის სრულყოფა, ბიოლოგიური მეთოდების შესწავლისა და პრაქტიკაში მათი დანერგვის მნიშვნელოვანი გაფართოება. მცენარეთა დაცვის დიდეფექტიანი და ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების, რეტარდანტების, ისეთი ახალი ფორმებისა და სახეობათა სასუქების შემუშავებისა და მათი წარმოების დაჩქარების გამოკვლევათა განვითარება, რომლებიც აკმაყოფილებენ ინტენსიური ტექნოლოგიების მოთხოვნებს;

მიწების მელიორაციის დარგში — მიწების კომპლექსური მელიორაციის, კაპიტალდაბანდებათა და წყლის რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის ეფექტიან მიმართულებათა შემუშავება, დიდმწარმოებლური სამელიორაციო სისტემების, რწყვის წვეთოვანი სინქრონიულ-იმპულსური და სხვა ხერხების, ფართო მოდების დასაწვიმი მანქანებისა და დანადგარების წყალსამეურნეო ნაგებობათა მართვის ავტომატიზაციის საშუალებების შექმნა მიკროპროცესორული და გამოთვლითი ტექნიკის საფუძველზე. წყალსამეურნეო, სამელიორაციო, სპეციალტო-ტექნოლოგიური და საექსპლოატაციო სამსახურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინტეგრაციისა და ეკონომიკური ურთიერთობის ფორმების სრულყოფა;

მეცხოველეობის, საკვებწარმოებისა და ვეტერინარიის დარგში — მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის გამოკვლევათა გაფართოება, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დიდპროდუქტიული სპეციალიზებული სარძიო და სახორცე ჯიშების, ჰიბრიდებისა და კროსების გამოყვანა მეელოვნეობისა და მეფრინველეობაში, ჯიშთსანაშენე მუშაობის გაუმჯობესება მეცხვარეობაში. 1995 წლისათვის რძის პროდუქტიულობის პოტენციალი საშალოდ ქვეყანაში გავზარდოთ წელიწადში ძროხაზე 5000 კილოგრამამდე, ინტენსიური მეცხოველეობის რეგიონებში კი — 6000-7000 კილოგრამამდე; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში ცოცხალი მასის საშუალო სადღეგამისო წონა-მატება 1000-1200 გრამამდე და ღორებისა 650-700 გრამამდე. ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების ისეთი ეფექტიანი ტექნოლოგიების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს საკვების რაციონალურ გამოყენებას, შრომისა და სახსრების დანახარჯების შემცირებას. პირუტყვის კვების ისეთი სისტემების შემუშავება, რომელთა მიზანია მარცვლეულის პროდუქტიულობის პოტენციალის სრული რეალიზაცია და მისი ეკონომიური ხარჯვა. დაავადებებისაგან პირუტყვის დაცვის სამეფო სისტემის შექმნა. მცენარეული, ცხოველური და მიკრობიოლოგიური ცილის წარმოების გადიდების პრობლემების გადაჭრა, უხვში, წვნიანი და კომბინირებული საკვების წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა.

კვებისა და თევზის პროდუქციის წარმოების, შენახვისა და გადამუშავების დარგში — გამოკვლევათა გაძლიერება სასურსათო ნედლეულის გადამუშავების გაღრმავების, საკვები ცილების, გლუკოზურ-ფრუქტოზული სიროფების, მოდიფიცირებული სახამებლების, პექტინის, სოდბრეების მიღების, ახალი პროდუქტებისა და პურ-ფუნთუშეულის, ბიოტექნოლოგიის საფუძველზე მათი მიღების უნარჩენო ტექნოლოგიების, მემბრანული, ექსტრუდერული და სხვა სრულყოფილი ტექნიკის დამუშავების დარგში. სასურსათო მიზნებისათვის მოფლეო ოკეანისა და შინა წყალსატევების რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, თევზისა და ზღვის სხვა პროდუქტების მოშენების, მათი ღრმა გადამუშავების ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების შემუშავება, მარიკულტურის განვითარება. ნაკადური და როტორული ხაზების რობოტიზებული კომპლექსების, დასატვირთ-გადმოსატვირთი მექანიზმების შექმნა და დანერგვა სასურსათო ნედლეულის, თანამედროვე ტარისა და შესაფუთი მასალების გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიური პროცესებისათვის. რეგულირებული გარემოს მქონე მაღალმექანიზებული საცავებისა და საწყობების შემუშავება. ინტეგრირებული წარმოებების ორგანიზაცია, რომლებშიც შევა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, გადამამუშავებელი და გამსაღებელი საწარმოები, შენახვისა და ტრანსპორტის სამსახურები;

მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დარგში — შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების უზრუნველმყოფი დიდადეფექტიანი და საიმედო ტექნიკის, ენერგეტიკული საშუალებების შემუშავების ძირეული გაუმჯობესება, ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენება, სოფლის, წყალთა, სატყეო მეურნეობისა და კვების მრეწველობის კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებისათვის საჭირო მანქანების სისტემების, ეფექტიანი ენერგო და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების, აგრეთვე საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საშუალებების შემჭიდროებულ ვადებში შექმნა. ნიადაგდამცავი და ტენდამზოგავი ტექნოლოგიებისათვის საჭირო მანქანების შემუშავების დაჩქარება;

სოციალურ-ეკონომიკური კვლევის დარგში — საწარმოო ძალების კომპლექსური განვითარების დასაბუთება, მეურნეობის გაძღოლის რაციონალური სისტემის, ინტეგრაციის, სპეციალიზაციის, კონცენტრაციის საფუძველზე ბუნებრივი და საწარმოო პოტენციალების გამოყენების ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება მიწის ეკონომიკური შეფასების, საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივების, მათი სტრუქტურისა და ოპტიმალური განლაგების განსაზღვრა. სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის გაღრმავება, ადამიანისა და წარმოების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფი მათი ოპტიმალური ინფრასტრუქტურის შემუშავება, სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნა. წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფა, შრომითს კოლექტივებში დემოკრატიული საწყისებისა და თვითმმართველობის პრინციპების, სხვადასხვა ფორმის კოოპერაციის, კოლექტიური და ოჯახური იჯარის, საზოგადოებრივი წარმოებისა და პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების სწორი, ეკონომიკურად დასაბუთებული შეხამების უზრუნველყოფა. გაძლიერონ ძიება და სრულყონ მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამეურნეო ანგარიშებრივი ურთიერთობის განვითარებას, დაგეგმვის ნორმატიული მეთოდების შრომის ნაყოფიერების ზრდის მასტიმულირებელი შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების, მეურნეობებისა და საწარმოების თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას;

ფუნდამენტური კვლევის დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს პრიორიტეტულ მიმართულებებს — ბიოტექნოლოგიის, გენური და უჯრედოვანი ინჟინერიის, ეფექტიანი მეთოდების შემუშავებასა და თვისებებს, მათ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი დიდპროდუქტიული ჯიშებისა და ჰიბრიდების, ცხოველთა ჯიშების, დაპროგრამებული თვისებების მქონე მიკროორგანიზმების შტამების, კვებისა და საკვები პროდუქტების, ამინომჟავების, ფერმენტების, ზრდის რეგულატორების, ჰორმონების, ბიოპრეპარატების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების, აგრეთვე აგროსამრეწველო წარმოების ელექტრონიზაციის სისტემების, მოდელირების ეფექტიანი ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების წარმოების, უნარჩენო ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნას.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია განისაზღვრა უმაღლეს სამეცნიერო ცენტრად, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერულ კომპლექსურ განვითარებას. საჭიროდ არის მიჩნეული სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის, მისი დაეგმვისა და კოორდინაციის, აგროსამრეწველო წარმოების ძირითადი მიმართულებებით სამეცნიერო ძალებისა და საშუალებების კონცენტრაციისათვის შეიქმნას დარგობრივი სამეცნიერო კომპლექსები საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა სამინისტროებისა და უწყებების წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბაზაზე.

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲠᲐᲘ — 87

მთავარია ხარისხი

რიტმულად მუშაობს ჩაის კონვეიერი პლანტაცია-ტრანსპორტი-ფაბრიკა წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს კოლმეურნეობაში. მთავარი ხარისხია! ასეთია შეჯიბრების მონაწილე ყველა მშრომელის დევიზი. მიმდინარე სეზონისათვის დასახული მიჯნა — 1.600 ტონა ნედლეული შარშანდელს მხოლოდ 50 ტონით აღემატება. ჩაის საკრეფი მანქანებით „საქართველოთი“ სულ ცოტა 600 ტონა მოსავალს აიღებენ.

სურათებზე: მექანიზატორები ვალტერ კვარაცხელია, ანზორ კვარაცხელია, აგრონომი მეჩაიეობის დარგში ზურაბ მოლაშხია და მექანიზატორი ზურაბ ყალიჩავა ათვალიერებენ პლანტაციის იმ უბნებს, სადაც მოსავალს მანქანებით აიღებენ; სოფელ ნაკიფუს კოლმეურნეობაში ჩაის კრეფენ მექანიზატორთა მობილური რგოლები.

ზ. სამსონიასა და გ. შარაშენიძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შრომითი ქრონიკა

წარმატება აგვირგვინებს შრომას

ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის კოლექტივს პურ-პროდუქტების საწარმოთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვება პირველებმა მიულოცეს „სამიათასიანელთა“ კლუბის მწველავებმა და აფხაზეთის სახაგრომრეწვის მიერ დასახული მიზნობრივი პროგრამის „რძის“ შესრულებისათვის ბრძოლის მონაწილეებმა.

ქარხნის დირექტორს ვ. ჭკადუას შრომითი წარმატების მთავარ ნაწილად მიაჩნია ყველა ტექნოლოგიური ხაზის მუშაობის რიტმულობა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. საკმარისია ითქვას, რომ წელს ქარხანას თავისი მრავალი მომხმარებლისაგან არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

მაკრად იცავს იგი საწარმოო მიწოდების დისციპლინასაც. ნახევარი წლის გეგმის გადაჭარბებით 3 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია გამოუშვეს და გაუგზავნეს სარძეო-სასაქონლო, მეღორეობის ფერმებს, და მეფრინველეობის ფაბრიკებს. ნედლეულის, ელექტროენერგიის ეკონომიის მეთხებით მიიღეს 20 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში პირველობს ბრიგადის კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი ოსტატი, კომუნისტი ბ. ზვამბია ხელმძღვანელობს.

ᲑᲔᲦᲔᲚᲨᲘᲐ 7.800 ᲢᲝᲜᲐ ᲞᲣᲠᲔᲣᲚᲘ

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში საამაყო წარმატებას მიაღწიეს სიღნაღის რაიონის მემინდვრეებმა — გვაცნობეს პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ქედხეშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ნადაშვილმა და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ დ. ალადაშვილმა. 7.150 ტონის ნაცვლად მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.800 ტონა პურეული. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბოდბისხევის, ტიბაანის, ბოდბის ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის, ნუკრიანის პარიზის კომუნისა და ლენინის ანდერძის სახელობის, ვაქირის კოლმეურნეობების მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა.

გამარჯვებულთა შორის არიან აგრეთვე ბაღჩეულის მომყვანები, რაიონში 3.200 ტონის ნაცვლად აწარმოეს 3.252 ტონა საზამთრო. სახელმწიფოს 2.000 ტონის ნაცვლად მიეყიდა 2.660 ტონა.

სიტყვა შეასრულეს

ტყიბული. (საკ. კორ). რვა ათას ტონაზე მეტი საკოქსე ქვანახშირი ამოიღო წლის დამდეგიდან გეგმის გადამტებით ე. მინდელის სახელობის შახტის კოლექტივმა. იანვარ-ივლისში გათვალისწინებული 145500 ტონის ნაცვლად მომხმარებელს 149963 ტონა სათბობი გაეგზავნა. მინდელელებმა საგრძნობლად გაუსწრეს თავიანთ შრომითს კალენდარს, წარმატებით შეასრულეს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით ათიათასობით მანეთი დაიზოგა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია პირველი საექსპლოატაციო უბნის იმ საიჯარო ბრიგადამ, რომელსაც ბ. ბერძული უდგას სათავეში. ამ კოლექტივმა ერთ-ერთმა პირველმა უპატაჟა სამშობლოს შვიდი თვის გეგმის შესრულება, მოანგრია და შახტის ზედაპირზე ამოიტანა 2846 ტონა ზეგეგმითი სათბობი.

ამ დღეებში სამთოელებმა ახალი ვალდებულება იკისრეს. წლის დამლევამდე დავალების გადამტებით მომხმარებელს 5 ათას ტონა ქვანახშირს მიაწოდებენ.

საგლეისო თემაზე

„ურჩი“ ლითონჩამბარებლები

ახოლოდ ათი ათასი ტონა ჯართია შეგროვებული დღეისათვის რესპუბლიკაში. აგვისტოს დამლევამდე დარჩენილ ორ კვირაზე ცოტა მეტ დროში გეგმით კიდევ უნდა დამზადდეს 25 ათასი ტონა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლავ იერშობანასთან და ფაციფუცთან გვექნება საქმე. სხვათა შორის, იმდენი, რამდენიც დარჩენილ ორ კვირაშია მთლიანად სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი, მარტო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას სჭირდება.

როგორ მოვიქცეთ, ხომ არ გავაჩეროთ უწყვეტი ციკლის საწარმო, რას ფიქრობენ მეორეული ლითონის ჩამბარებელი ორგანიზაციები? ჯართს ელიან აგრეთვე თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნები, ვოლგოგრადის „წითელი ოქტომბრის“ ქარხანა, 3 ათასი ტონა ნედლეული გასაგზავნია საზღვარგარეთ.

ხომ უნდა დაადგეს საშველი ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას? ჯართი არა გვაქვსო, ამას ვერავინ მოიმიზეზებს, ლითონია ყველგან, საითაც გაიხედავ. შვიდი თვის გეგმის შესრულებას თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხანამ, მაგალითად, დაიკლო 300 ტონა ჯართი, „ჩარხშენებლის“ საწარმოო გაერთიანებამ — 336 ტონა, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ — 460 ტონა. ამ საწარმოების ხელმძღვანელებმა კარგად უწყიან, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოსათვის ჯართი.

შვიდი თვის გეგმები ვერ შეასრულეს აგრეთვე ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ, თბილისის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა, საშენ მასალათა მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა, „საქგეოლოგიამ“. ცეკავშირმა ჯართი უნდა დაამზადოს საკუთარ მეურნეობებში, გარდა ამისა უნდა უზრუნველყოს ეგრეთ წოდებული უპატრონო ლითონის შეგროვება. ამ ორივე მიმართულებით მას სხვადასხვა გეგმა ეძლევა, მაგრამ შვიდ თვეში ვერც ერთს ვერ გაართვა თავი. პირველ შემთხვევაში დავალების შესრულებას 168 ტონა, ხოლო მეორეში — 256 ტონა დააკლო.

მეტი მონდომება იყოს, თორემ გეგმის შესრულება სრულიადაც ხარ არის ძნელი. მიაქცევთ ყურადღება: სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გეგმით უნდა ჩაებარებინა 2529 ტონა ჯართი, სინამდვილეში ჩააბარა 2509 ტონა. ესე იგი, დავალების შესრულებას დააკლდა 20 ტონა. მეტი მონდომება რომ გამოეჩინაო, 20 ტონა ჯართს ჩაბარებას რა უნდოდა! ასევე ითქმის თბილისის საბურთალოს, ზუგდიდის, მარნეულის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, დუშეთის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, საგარეჯოს, თერჯოლის, თეთრი წყაროს, წალკის, წითელწყაროს რაიონებზე, რომლებმაც ცალ-ცალკე გეგმის შესრულებას ერთი შეხედვით არცთუ ბევრი დააკლეს, მაგრამ ამ ცოტამ ერთად მრავალი ათასი ტონა შეადგინა. განსაკუთრებით „ურჩობენ“ დუშეთის, კასპისა და მარნეულის რაიონები. ისინი ამისათვის მომდინარე წლის ივნისშიც გავაკრიტიკეთ, მაგრამ უშედეგოდ.

ჯართის დამზადების აგვისტოს, მესამე კვარტალისა და მთლიანად წლის გეგმები ყველა რაიონმა და ქალ.-ქმა უნდა შეასრულოს და მოახსენოს ზემდგომ ორგანოებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მოსწავლეთა დასვენებას—განსაკუთრებული ზრუნვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის პიონერთა ბანაკების განვითარებასა და მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაციაში სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში მეტად ნელა ვითარდება სანატორიული პიონერული ბანაკების ქსელი, უკანასკნელი 17 წლის მანძილზე მათ შეემატათ მხოლოდ 7253 საწოლ-ადგილი. განსაკუთრებით გაჭიანურდა პიონერული ბანაკების საექსპლოატაციოდ გადაცემა 1984-1986 წლებში, როცა 10 სტაციონარული ბანაკის ნაცვლად მხოლოდ ორი ამუშავდა. ორი უკანასკნელი ხუთწლიდის მანძილზე არ აშენებულა არც ერთი ბანაკი აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. დასვენების ბაზები არა აქვს რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების 40-მდე მსხვილ საწარმოს. ბავშვთა დასვენების ქალაქგარეთა სტაციონარები არ არის ქუთაისში, ფოთში, ტყიბულში, მარნეულის, წულუკიძისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. სუსტად არის განვითარებული სანატორიული ბანაკების ქსელი ბავშვთა მკურნალობისა და დასვენებისათვის, მათ შორის წლიური მოქმედების ბანაკებისაც. 1987 წელს ფუნქციონირებს 1334 სხვადასხვა ტიპის პიონერული ბანაკი, რაც 54-ით ნაკლებია, ვიდრე შარშან. ამის შედეგად რესპუბლიკაში ორგანიზებულად ისვენებს მოსწავლე ახალგაზრდობის მხოლოდ 27 პროცენტი, რაც საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, პროფკავშირთა რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო პიონერული ბანაკების მშენებლობის ვადები მეტისმეტად ჭიანურდება. ამჟამად შენდება ათი ასეთი ობიექტი, მაგრამ გენერალური მოჭარები და შემკვეთები კვლავინდებურად არ იღებენ ეფექტიან ზომებს მათი საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

პასუხისმგებლობა შექმნილი ვითარებისათვის ეკისრებათ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს (დ. ვ. მანჯგალაძე), ყოფილი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, ამჟამად საქმაო-მშენის (ი. ა. ხარატიშვილი), რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლჯანმრთელობის“ (ვ. კ. სანიკიძე) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს (ბ. ა. ზატუაშვილი) ხელმძღვანელობას, რომლებიც ათწლეულების მანძილზე სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საექსპლოატაციოდ პიონერული ბანაკების დროულ გადაცემას. სრულიად არადამაკმაყოფილებლად შენდება საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის პიონერული ბანაკები. ამ მიზნით 1976-1986 წლებში 8,5 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი გამოიყო, სულ კი 4,4 მილიონი მანეთი ათვისებულ.

საქაგრომშენის გენერალური საიჯარო ორგანიზაციები (№№ 11, 9, 5, 4, 2 და № 2 სარემონტო-სამშენებლო ტრესტები; ტრესტების ხელმძღვანელები — ჯ. ფ. ჩოჩუა, ვ. შ. კუპრაძე, თ. ვ. ესაია, პ. გ. დონღუზაშვილი, ო. დ. გაბედავა, ლ. ვ. ყიფიანი) აყოვნებენ საექსპლოატაციოდ პიონერული ბანაკების გადაცემას ასპინძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში. ექვსი ბანაკიდან ორი შვიდ წელზე მეტია შენდება, დანარჩენები — ოთხ წელზე მეტი, სამის მშენებლობა დაჯილნერებულია.

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და პროფსაბჭოს მიერ მოწყობილმა სარეიდო შემოწმებამ სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა სახელმწიფო ეკჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირების სურამის პიონერულ ბანაკებში. მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის სურამის პიონერულ ბანაკ „შევარდენში“ ავარიულ მდგომარეობაშია საძილე კორპუსები, რაც მხედველობიდან რჩება სამეფო ორგანიზაციას — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გორის № 9 ტრესტს.

ბავშვთა მიღებისათვის ცუდად მოემზადნენ ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის პიონერული ბანაკები. იქ არ არის ან უმოქმედოდაა აბანოები. საშხაპეები, კლუბები, ბიბლიოთეკები, ჰიგიენის ოთახები, კეთილმოწყობილი არ არის ტერიტორიები და სპორტული მოედნები. ხშირად ბანაკები არ არის რადიოფიცირებული, არც სატელეფონო კავშირია, ფერხდება წყლისა და ელექტრობის მიწოდება. სერიოზულ საყვედურებს იმსახურებს ბავშვთა კვება ცალკეული რეგიონების პიონერულ ბანაკებში. ცუდად მარაგდებიან ხილითა და ბოსტნეულით პიონერული ბანაკები ხაშურის, ქობულეთის, მცხეთის, თეთრი წყაროს და სხვა ზონებში. ბევრ ბანაკში დაბალ დონეზეა სამედიცინო მომსახურება. მეტ წილ ბანაკებში განხორციელებული ღონისძიებანი ხელს არ უწყობს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, სუსტად არის განვითარებული პიონერული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, ბავშვებს არ ანამენ მხატვრულ თვითშემოქმედებაში. გადასინჯვას საჭიროებს პიონერული ბანაკების ხელმძღვანელთა კადრების შერჩევის კრიტერიუმებიც.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის (გ. დ. მგელაძე) და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინიტროს (დ. ვ. მანჯგალაძე) ხელმძღვანელებს დაეკალთ გერკვნენ თითოეულ ობიექტში, კაცურად მოჰკითხონ ტრესტებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს, რომლებიც ბავშვთა დასვენების ბაზებს აშენებენ. სკკპ წევრების ი. ა. ხარატიშვილს — საქართველოს სსრ მშენებლობის ყოფილი მინისტრის, ამჟამად საქაგრომშენის თავმჯდომარის, ნ. ს. ამაშუკელის — № 2 ტრესტის ყოფილი მმართველის, ამჟამად საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილის, ვ. კ. სანიკიძის — რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლჯანმრთელობის“ თავმჯდომარის, ბ. ა. ზატუაშვილს—საქართველოს სსრ კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ დაუშვებელია შემრიგებლური დამოკიდებულება ნაკლოვანებებისადმი ამ საქმეში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს პროფსაბჭოს და აღკკ ცენტრალურ კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს დაეალათ შეიმუშაონ რესპუბლიკის პიონერული ბანაკებისა და მოსწავლეთა დასვენების სხვა ბაზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების კომპლექსური გრძელვადიანი პროგრამა, მთავარი ყურადღება მიაპყრონ მთელი წლის განმავლობაში მათს მუშაობას.

პარტიის საქალაქო და რაიონულ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რეგიონალური განყოფილებების — სრულიად რუსეთის, ცომბირის, სამხრეთის, შუა აზიის, აღმოსავლეთის, ამირკავკასიის, დასავლეთის, რუსეთის სფსრ არაშავმიწაინადგაცინი ზონის განყოფილებების მთელი ყურადღება ეპყრობა ბუნებრივ-ეკონომიკური რაიონების აგროსამრეწველო წარმოების განვითარებისა კვლევის კოორდინაციას. შორეული აღმოსავლეთის რაიონების მეცნიერული უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით იქმნება საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის განყოფილება (ქ. ხაბაროვსკი).

წარმოებასთან მეცნიერების მჭიდრო ინტეგრაციის, პრაქტიკაში სამეცნიერო მიღწევების უფრო ფართოდ დანერგვისათვის მიზანშეწონილად არის მიჩნეული მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში აგროსამრეწველო კომიტეტებთან შეიქმნას სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრები, რომლებშიც შეივლენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებელი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და მეცნიერების სხვა ორგანიზაციები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე ცალკეულ ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში გათვალისწინებულია სამეცნიერო უზრუნველყოფის ზონალური ცენტრების ორგანიზაციის შესაძლებლობა. სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრის სტრუქტურის ფორმირების დროს განსაზღვრები მეთაური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, საცდელი სადგური). დადგენილა, რომ სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრს უმეთაურებს მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის სახაგრომრეწვის, მხარის, ოლქის აგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც. როგორც წესი, მეთაური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ხელმძღვანელია. რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის სს, ბელორუსიის სს, უზბეკეთის სს, ყაზახეთის სს, საქართველოს სს რესპუბლიკებში, სადაც არის საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რეგიონალური განყოფილებანი, სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრები ქმნიან აგროსამრეწველო წარმოების განვითარების კომპლექსურ მიზნობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებს და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო სისტემებს, საცდელ-საწარმოო და სასწავლო-საცდელ მეურნეობებს, გამოყოფენ საბაზო მეურნეობებს, სხვა საწარმოებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, გადამამუშავებელი და მომსახურე საწარმო-ორგანიზაციების სამეცნიერო უზრუნველყოფის პრაქტიკული განხორციელებისათვის. დადგენილებით განისაზღვრა ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტისათვის უნდა იმუშაონ ინსტიტუტმა სამეურნეო და სამეცნიერო ორგანიზაციებმა.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების პრაქტიკაში სამეცნიერო ნამუშევრების გამოყენების ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესებისათვის საჭიროდ არის მიჩნეული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში, სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსებში, (სამეცნიერო-საწარმოო) სისტემებში, სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებსა და მეცნიერების სხვა ორგანიზაციებში, საბაზო მეურნეობებსა და საწარმოებში შექმნას მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის სამეურნეოთანგარიშიანი ქვეგანაყოფები. სამეცნიერო დაწესებულებათა პრაქტიკაში დაინერგოს სამეურნეოთანგარიშიანი ჯგუფების შექმნა კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვსა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაეკალთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რეგიონალური განყოფილებები, სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრები ქმნიან აგროსამრეწველო წარმოების განვითარების კომპლექსურ მიზნობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებს, საბაზო მეურნეობებსა, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო სისტემებს, საცდელ-საწარმოო და სასწავლო-საცდელ მეურნეობებს, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე ცალკეულ ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში გათვალისწინებულია სამეცნიერო უზრუნველყოფის ზონალური ცენტრების ორგანიზაციის შესაძლებლობა.

სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრის სტრუქტურის ფორმირების დროს განსაზღვრები მეთაური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, საცდელი სადგური). დადგენილა, რომ სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრს უმეთაურებს მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის სახაგრომრეწვის, მხარის, ოლქის აგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც. როგორც წესი, მეთაური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ხელმძღვანელია. რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის სს, ბელორუსიის სს, უზბეკეთის სს, ყაზახეთის სს, საქართველოს სს რესპუბლიკებში, სადაც არის საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რეგიონალური განყოფილებანი, სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრები ფუძემდებლურ ერთეულებად დაეკისრათ.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახაგრომრეწვები, მხარეებისა და ოლქების აგრომრეწვები, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რეგიონალური განყოფილებანი, სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრები ამ განყოფილებებს დაეკისრათ.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახაგრომრეწვები, მხარეებისა და ოლქების აგრომრეწვები, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის რეგიონალური განყოფილებანი, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ადგილობრივ ორგანიზაციებს, ინსტიტუტებსა, ორგანიზაციებსა, ფირმებსა, ასოციაციებსა, ასოციაციებსა, ფირმებსა, ორგანიზაციებსა, ინსტიტუტებსა ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობ

სიტყვას ითხოვს რექტორი

ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი რჩეული უმაღლესი სასწავლებელი სამედიცინო ინსტიტუტია. ამიტომ გასაგებია იქ მიმდინარე მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მღელვარება. ამ სასწავლებელში მისაღები გამოცდების ობიექტურად, მაღალ დონეზე წარმართვის გარანტიას გვაძლევს რექტორი, რომელიც ჯერ კიდევ გამოცდების დაწყებამდე წარდგა თვითანგარიშით კოლექტივის წინაშე და „გულწრფელად, დაუფარავად ილაპარაკა ინსტიტუტის მუშაობის ყოველ ნაკლსა და ხარვეზზე, ვფიქრობთ, ეს ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისთვის.

— „მხოლოდ სოციალიზმისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული ფორმების თანამიმდევრული განვითარების, თვითმმართველობის გაფართოებით არის შესაძლებელი ჩვენი წინსვლა წარმოებაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, ლიტერატურაში, კულტურასა და ხელოვნებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მხოლოდ ასეთი გზა უზრუნველყოფს შეგნებულ დისციპლინას. მხოლოდ დემოკრატიის მეშვეობით და დემოკრატიის წყალობით არის შესაძლებელი თვით გარდაქმნა, მხოლოდ ასე შეგვიძლია სამოქმედო ასპარეზი გადავუშალოთ სოციალიზმის უმძლავრეს აღმშენებლობითს ძალას — თავისუფალ შრომასა და თავისუფალ აზრს თავისუფალ ქვეყანაში“ — ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში.

აი ამ სიტყვებით გამოხატული ბეშმარიტების ნათელ მაგალითად იქცა ცოტა ხნის წინათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გამართული პარტიული აქტივისა და სამეცნიერო საბჭოს კრება, რომელზეც თვითანგარიშით წარდგა ინსტიტუტის რექტორი, სამართველოს რეცენზენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **არჩილ ასათიანი.** ეს იყო კომუნისტის, მოქალაქის მიერ საკუთარი საქმის პირუთვნელი და გულწრფელი შეფასება.

ცხადია, საუბარი შეეხო ინსტიტუტის დიდი კოლექტივის საქმიანობასაც, რადგან განუყოფელია ინსტიტუტისა და მისი ხელმძღვანელის მიზანი და საზრუნავი — დღენიადაგ სრულყონ ინსტიტუტის სასწავლო პროცესი, აამაღლონ მისი ავტორიტეტი ხალხისა და საზოგადოების წინაშე.

ინსტიტუტის ახალ პარტიულ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას ხელთ მოღვაწეობის ისეთი ძლიერი იარაღი და შემდგომი საქმიანობის ისეთი დიდი ორიენტირი აქვთ, როგორიცაა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის, ნოემბრის, იანვრისა და ივნისის პლენუმების მასალები და გადაწყვეტილებანი, დადგენილებანი უმაღლესი სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობისა და სპეციალისტთა აღზრდის ვრცელი, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა და ამოცანებია დასახული.

— ინსტიტუტში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის ბრძოლა პირველ რიგში დისციპლინის განმტკიცებით დავიწყეთ, — თქვა თავის გამოსვლაში რექტორმა, — რაც სასწავლო პროცესის ძირეული გარდაქმნის უპირველეს წანამძღვრად დავისახეთ. მინიმუმამდე შევამცირეთ გაცდენა-დაგვიანებათა რიცხვი, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, ამის მისაღწევად ხშირად არასასიამოვნო, უკიდურესად მკაცრი ზომების მიღებაც დაგვჭირდა, რაც არ იქნებოდა აუცილებელი, ყველა კათედრა და პედაგოგი ერთნაირი მომთხოვნელობით რომ ეკიდებოდეს მეცადინეობებზე სტუდენტთა დროულად გამოცხადებას და ებრძოდეს გაცდენებს.

შემოვიღეთ დეკანატებში ეგრეთ წოდებული საღრიცხვო ჟურნალები, რომლებშიც ოთხშაბათობით სასწავლო დარგში კათედრების გამგეთა მოადგილეებს გადაქვთ მონაცემები სტუდენტთა დასწრების შესახებ, რის შემდეგ იმართება თათბირი და საჯაროდ განიხილება ეს მონაცემები. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიების ეფექტი უფრო ნაკლებია, ამის მიზეზი კი ისევ და ისევ მინდობილი საქმისადმი გულგრილი და ზერელე დამოკიდებულებაა. როგორც ჩანს, მე, როგორც რექტორი, ბოლომდე ვერ მივაღწიე კარგად დაწყებულ საქმეს, იშვიათად ვმონაწილეობ თათბირებში, თუმცა ეფექტიანობის გამოსასწორებლად მხოლოდ მე ვერაფერს ვიზამ, თუ გვერდში არ ამომიდგნენ პროორექტორები, დეკანატები, კათედრები და პედაგოგები. დისციპლინის განმტკიცებით დავიწყეთ, — თქვა თავის გამოსვლაში რექტორმა, — რაც სასწავლო პროცესის ძირეული გარდაქმნის უპირველეს წანამძღვად დავისახეთ. მინიმუმამდე შევამცირეთ გაცდენა-დაგვიანებათა რიცხვი, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, ამის მისაღწევად ხშირად არასასიამოვნო, უკიდურესად მკაცრი ზომების მიღებაც დაგვჭირდა, რაც არ იქნებოდა აუცილებელი, ყველა კათედრა და პედაგოგი ერთნაირი მომთხოვნელობით რომ ეკიდებოდეს მეცადინეობებზე სტუდენტთა დროულად გამოცხადებას და ებრძოდეს გაცდენებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლომდე ვერ დავძლიეთ ისეთი მავნე და ნეგატიური გამოვლინებანი, როგორიც ლიბერალიზმი და პროტექციონიზმია. სამწუხაროდ, ეს ვლინდება სესიებისა თუ სახელმწიფო გამოცდების დროსაც. ამით ზიანს ვაყენებთ არა მარტო სახელმწიფოს საქმეს, ინსტიტუტების ღირსებას, არამედ ვლახავთ ჩვენი, როგორც მასწავლებლების, ავტორიტეტსაც, რადგან ყოველმა სტუდენტმა კარგად იცის, თუ რა გზით იღებს დაუმსახურებელ ნიშანს ზოგიერთი მისი ამხანაგი.

ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივის საზრუნავი მარტო ის კი არ უნდა იყოს, თუ როგორი ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევის, მორალურ-ზნეობრივი და იდეური წრთობის სპეციალისტი დადგება ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე, არამედ ისიც, თუ როგორ ართმევენ თავს ყოველი აღზრდილი დაკისრებულ მოვალეობას სამშობლო ადგილზე. ჩვენს კავშირს კურსდამთავრებულებთან ჯერ კიდევ სუსტი, ეპიზოდური და შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამიტომ ყველაფერს ვაკეთებთ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებით უნდა გვაღელვებდეს იმათი ბედი და ქმედითობა, ვინც სამუშაოდ შორეულ, მთიან რაიონებში მიდის.

ხარვეზები გვქონდა განაწილების პრაქტიკაშიც. კერძოდ, მთის რეგიონებში, სამწუხაროდ, მხოლოდ ისეთ სტუდენტებს ვგზავნიდით, რომელთაც არც თუ ისე კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს ინსტიტუტი, წარჩინებულებს კი ორდინატურაში ვტოვებდით. ის კი გვავიწყდებოდა, რომ კარგი ექიმი ერთნაირად სჭირდება ცენტრსაც და პერიფერიასაც. ამიტომ წლეულს ყველა სახელობითი სტიპენდიატი თუ სწავლის წარჩინებული სამუშაოდ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გავიანაწილეთ.

მიზნობრივი ორდინატურის, ასპირანტურისა და კათედრებისაკენ ამ ახალგაზრდებს გზა მხოლოდ მაშინ გაეხსნებათ, როდესაც განსაზღვრულ ვადებში კეთილსინდისიერად და პირნათლად მოიხდიან პროფესიულ ვალს განაწილების ადგილებზე.

ჩვენ გადამწყვეტი ღონისძიებები განვახორციელეთ მოსამზადებელი განყოფილების უკეთ დასაკომპლექტებლად, და მაინც მისი სრულყოფისათვის კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ინსტიტუტმა ჯანსაღი ცვლა მიიღოს და ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს მითქმა-მოთქმა მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით. სწორედ ამ საკითხში უნდა მივაღწიოთ მნიშვნელოვან გარდაქმნას.

ბევრია გასაკეთებელი ეგრეთ წოდებული ხარისხისათვის, ყველამ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენი ინსტიტუტის აღზრდილი ექიმი კარგი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იყოს და ბოლომდე ჰქონდეს შეგნებული თავისი დიდი პასუხისმგებლობა ადამიანთა სიცოცხლისათვის ბრძოლაში. ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ იქიდან, როდესაც თამამად შეგვეძლება ვთქვათ; დისციპლინებში მიღებული ნიშნები სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის ცოდნისა და რწმენის ადეკვატურია და ჩვენს კედლებში არ მოხვდება არც ერთი შემთხვევითი ადამიანი, რომელსაც უმაღლესა მაზანი ამოძრავებს, ვიდრე ავადმყოფის თანაგრძნობა და შველაა. სწორედ ეს არის ჩვენი უზენაესი და უწმინდესი მიზანი, ამისაკენ ვისწრაფვით ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, ამ ნიშნით მიმდინარეობს ახლა ჩვენთან მისაღები გამოცდებიც.

ი. კუკავა.

ე. ა. დუკმასოვი

გარდაიცვალა 1950 წლიდან სკკპ წევრი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ლაგოდეხის რაიონის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ევგენი აკიმის ძე დუკმასოვი.

ე. ა. დუკმასოვი დაიბადა 1927 წელს ქ. ორჯონიკიძეში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. ომლობაში გაზრდილი ადრე ეზიარა შრომითს საქმიანობას, ლაგოდეხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კურსების დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის ტრაქტორისტად.

ე. ა. დუკმასოვი 1950-1953 წლებში არჩეული იყო ლაგოდეხის რაიონის სოფელ სვობოდნოეს მ. ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, 1953-1960 წლებში — სოფელ ულიანოვკის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. 1970 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კი ლაგოდეხის რაიონის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე იყო.

ე. ა. დუკმასოვი არჩეული იყო სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXIV და XXVII ყრილობების დელეგატად, ხოლო 1971-1976 წლებში — რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად, მრავალგზის იყო არჩეული პარტიის ლაგოდეხის რაიკომის წევრად, სასოფლო, საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

იგი გამოირჩეოდა პარტიული პრინციპულობით, უანგარობით, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით, სიახლის გრძნობით, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნისას მეურნეობა, რომელსაც იგი ედგა სათავეში, ეკონომიკურად ერთ-ერთი ძლიერი გახდა რაიონში.

პარტიამ და სახელმწიფომ დიდად დააფასეს ე. ა. დუკმასოვის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, „სიპატიო ნიშნის“, მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენებით, მრავალი მედლით.

ახალგაზრდობის დამრიგებლის, გულსხმიერი კომუნისტის, ნიჭიერი ორგანიზატორის, ევგენი აკიმის ძე დუკმასოვის ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. ბილაშვილი, გ. დ. მგელაძე, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. ა. ჟოთანავა, ვ. ვ. სირაძე, ი. ჯ. უბილავა, ო. თ. მაისურაძე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ევგენი აკიმის ძე დუკმასოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტრანზიტი ქალაქის გვერდის ავლით

ღამის რეისი მთავრდებოდა. თვითმფრინავი დასაჯდომად ეშვებოდა. ჩვენს ქვემოთ თბილისია. ჩემმა მეზობელმა ილუმინატორში გაიხედა და გაკვირდა:

— რა იქნა თბილისი თავისი ჩირაღდნებით, რომლებიც, როგორც პოეტმა თქვა, ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას მოგვაგონებდა?

მართლაც, ჩვეულებრივ „ვარსკვლავებით მოჭედილი“ ქალაქი მრუმედ და ულიმდამოდ გამოიყურებოდა. „სმოგია“ — თქვეს მგზავრებმა. ქალაქს მძიმე ღრუბლად აწვა საწარმოთა კვამლი, ქალაქის ტრანსპორტის გამონაბოლქვი. ეს, ჩვეულებრივ, მშვიდ, უქარო ამინდში ხდება ხოლმე: ქვაბულში მდებარე ქალაქი ეკუდად ნიავდება... რესპუბლიკის საზოგადოებრიობა უკვე მრავალი წელია დაბეჯითებით მოითხოვს თბილისის ფარგლებს გარეთ გიტანონ მხრჩოლავი საწარმოები. უკვე დიდი ხანია საჭირო გახდა ასაქცევი გზა, რომლითაც სატრანზიტო ტრანსპორტი ქალაქს ცვლიდეს აუვლის.

ამ ბოლო ხანს თბილისიდან გატანილია ზოგიერთი ფაბრიკა და ქარხანა, მკაცრად შეიზღუდა ახალ საწარმოთა მშენებლობა. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს დედაქალაქის ფარგლებიდან გაიტანეს რამდენიმე დიდი ავტობაზა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის ასაქცევი ფართო მაგისტრალის მშენებლობა.

— საქალაქო მაგისტრალებზე და თბილისის სატრანსპორტო კვანძებში მოძრაობის ინტენსიურობამ მაქსიმუმს მიაღწია, — გვითხრა რესპუბლიკის ავტოგზატკეცილების მინისტრის მოადგილემ უ. გოჯოშვილმა. — გზები ძლივს იტევს მგზავრებისა და ტვირთის ნაკადს. ვითარებას ართულებს ისიც, რომ მატულობს სატრანზიტო ტვირთზიდვა აზერბაიჯანსა და სომხეთში თბილისის გავლით. ყოველივე ეს, ცხადია, მეტისმეტად ტვირთავს ტრასებს, გამოსაბოლქვით სავაჭრო აუზის გაუუკეთებლობა ეფექტს. ახლა ასაქცევი გზის მშენებლობა უკვე მთავრდება.

აი, იგი ფართო ლენტად გასდევს თბილისის გარეუბნების ბორცვებსა და ხეობებს. ახალი გზა მცხეთასთან უერთდება მოქმედ ტრასებს: საქართველოს სამხედრო გზას და იმას, რომელიც დასავლეთ საქართველოსკენ მიემართება. ავტოსტრადა გვერდს აუქცევს ქალაქს და მეოცე კილომეტრზე შეუერთდება თბილისი-საგარეჯოს მოქმედ მაგისტრალს. დამპროექტებლებმა დიდი ჯაფა გასწიეს იმისათვის, რომ გზის მშენებლობას რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიეყენებინა ბუნებისათვის. ჩენი თვალით მინახავს, გზის მშენებლები ტრასის ზოლში მოხვედრილი ნიადაგის კულტურულ ფენას როგორ იღებდნენ და გზის პირას აწყობდნენ ფერდობების გასამაგრებლად და მიწების რეკულტივაციის მიზნით. 47 კილომეტრიანი გზა მაქსიმალურად მოსახერხებელი და უსაფრთხო იქნება.

ცოტაც და ავტოსტრადა თავისი კეთილმოწყობილი საგზაო ნაგებობებით, ავტოპავილიონებით, გადასახადი მოედნებით, დასასვენებელი კუთხეებით და სკვერებით მწყობრში ჩადგება.

გ. ლებანიძე,
(„პრავდის“ კორ.).
„პრავდა“, 1987 წ. 12.VIII.

ცნობები ორბიტიდან

ფრენის მართვის ცენტრი. იური რომანენკო და ალექსანდრე ალექსანდროვი განაგრძობენ დაგეგმილ სამუშაოებს „მირ“ ორბიტულ კომპლექსში.

გასული დღეების მანძილზე კოსმონავტები ძირითადად მუშაობდნენ „პროგრეს-31“ ავტომატური სატრანსპორტო ხომალდის განტვირთვაზე. მიტანილი მოწყობილობის მეტი ნაწილი მათ უკვე გადაატანეს და დაწყვეს კომპლექსის სათავსებში, გადატუმბეს წყალი ხომალდის ავზებიდან სადგურის ჟურჟლებში.

გრძელდება ასტროფიზიკური გამოკვლევები „რენტგენ“ საერთაშორისო ორბიტული ობსერვატორიის გამოყენებით. 10 აგვისტოდან „კვანტ“ სპეციალიზებულ მოდულში დადგმული რენტგენული ტელესკოპები კვლავ დაუმიზნეს ზეახალ ვარსკვლავს დიდ მაგელანის ღრუბელში.

ტელემეტრიული ინფორმაციის შედეგებისა და ეკიპაჟის მოხსენებების მიხედვით, „მირ“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. ვლადიმერ შალვას ძე **ბარათაშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი ამხ. ამირან თეიდორეს ძე **კობახიძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

რესპუბლიკაში გამომგონებლობითი და სპეტენტო-სალიცენზიო მუშაობის აქტიური პროპაგანდისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის გამომგონებელთა და აღმოჩენათა საქმეების სახელმწიფო კომიტეტის საპატენტო მომსახურების საკავშირო ცენტრის თბილისის ფილიალის უფროსი ამხ. თენგიზ პლატონის ძე **სალია** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საკდესის ცნობა

12 აგვისტოს მოსკოვის დროით 05 საათსა და 30 წუთზე საბჭოთა კავშირში, იაკუტიის ახს რესპუბლიკაში მოხდა მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 20 კილოტონა იყო.

ეს აფეთქება მოეწყო სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

ჟურნალისტი
ფაქტები • მოვლენები

მხარს უჭერენ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს

ვარშავა. ჟენევში განიარაღების კონფერენციაზე წამოყენებული საბჭოთა კავშირის ინიციატივები საერთაშორისო ურთიერთობის ახალი ფილოსოფიის დამაჯერებელი დადასტურებაა. მისი მიზანია შეიარაღების შეზღუდვა და უშიშროების უზრუნველყოფა, აღნიშნავს პოლონეთის გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“.

ულან-ბატორი. მხოლოდ პოლიტიკური რეალიზმის დეფიციტით შეიძლება აიხსნას შეერთებული შტატების პოზიცია საშუალო სიშორის რაკეტებისა“ და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის საკითხების გამო გამართულ მოლაპარაკებაზე, წერს გაზეთი „უნენი“, როცა განმარტავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ყენევის დიალოგს. მიუხედავად იმისა, რომ აშკარად უსაფუძვლოა შეერთებული შტატების ცდები შეინარჩუნოს დასავლეთგერმანული „პერშინგ-1 ა“ ტიპის რაკეტები, აღნიშნავს გაზეთი, ამერიკის მხარე კვლავ დაჟინებით მოითხოვს მოლაპარაკების დღის წესრიგიდან გამორიცხონ ეს რაკეტები და მისი ბირთვული ქობინები.

სსრ კავშირის გაბედულმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა ისეთი ვითარება შექმნა, რომ დასავლეთი აშკარა უარს ვეღარ იტყოდა დიალოგზე ბირთვული განიარაღების პრობლემების შესახებ, რადგან ბევრად წააგებდა მსოფლიოს აზრის წინაშე. ამის გამო, წერს შემდეგ გაზეთი, მსოფლიო თვალს ადევნებს მოლაპარაკების ჩიხში მოქცევის ცდებს. ყოველივე ეს ლრომოჭმული აზროვნების რეციდივებია და რაც უფრო სწრაფად მოიშორებენ თავიდან მათ შეერთებული შტატები და მისი ზოგიერთი ნატოელი მოკავშირე, მით უფრო მოახლოვდება უბირთვო და უძალადო მსოფლიოს გზა.

დასავლეთი ბერლინი. გერმანელთა პროფკავშირების დასავლეთ ბერლინის გაერთიანების თავმჯდომარემ მ. პაგელსმა მხარი დუჭირა საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია საშუალო სიშორის რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაცია. აქ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას, მან მოიწოდა ქალაქის მთელ პროგრესულ ძალებს მიაღწიონ ამ წინადადებათა განხორციელებას.

დასავლეთ ბერლინის პროფკავშირები, განაცხადა მან, თავიანთ მთავარ ამოცანად მიიჩნევენ დარბაზონ მშრომელთა ფართო ფენები მშვიდობის, განიარაღებისა და სოციალური პროგრესისათვის საბრძოლველად. მათი აზრით, ამჟამად არსებობს იმის რეალური შანსი, რომ დაიწყოს განიარაღების პროცესი ევროპაში, აღმოიფხვრას ბირთვული ომის წარმოქმნის საფრთხე. ამ ისტორიული შანსის გამოყენება შეესაბამება ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს.

კანბერა. ახალი საბჭოთა ინიციატივები შეესაბამება ბირთვული განიარაღების ინტერესებს, ხელს უწყობს მშვიდობის უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში, წერს ავსტრალიის გაზეთი „გარდიანი“. საქმე ამერიკის ადმინისტრაციაზეა. მაგრამ, აღნიშნავს გაზეთი, ვაშინგტონი სულ ახალ-ახალ დაბრკოლებებს ქმნის შეთანხმების მიღწევის გზაზე. ასეთი მიდგომა განიარაღების პროცესის გაჭიანურებას ისახავს მიზნად.

მთავარი მიზეზი, რომელსაც იმპერიალისტური ძალები იშველიებენ განიარაღების პროცესის გაჭიანურებისათვის, ეს არის საფრთხე, რომელსაც თითქოს სსრ კავშირი და მისი მოკავშირენი ქმნიან. მაგრამ საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს არაერთგზის აღუნიშნავთ ხაზგასმით, რომ არ ხელყოფენ არც ერთ სანტიმეტრს სხვის ტერიტორიას, რომ მათ საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალისტური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კონცეფცია. იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით სოციალისტური ქვეყნები არ აპირებენ შეასრულონ ჟანდარმის როლი მსოფლიოს რომელიმე რაიონში. ისინი მიესალმებიან ყოველ მოვლენას, რომელიც ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებას, განიარაღებასა და მშვიდობას, აღნიშნავს „გარდიანი“.

სკკპ დელეგაცია ვიეტორიაში ჩავიდა

ვიეტორია. სეიშელის კუნძულების ხალხის პროგრესული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით, ვიეტორიაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი მეთაურობს.

ფოტოფაქტი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შრომის საკითხთა ფედერალური უწყების ოფიციალური მონაცემებით, ამ ქვეყანაში რეგისტრირებულია 2,5 მილიონამდე უმუშევარი. თუმცა ხელისუფალნი ირწმუნებიან, შრომის ბაზარზე მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდაო, უმუშევრობა კვლავინდებურად ქმედუნარიანი მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენს. მარტო მიმდინარე წლის პირველ თვეებში შრომამოწყობის უწყებასთან გრძელ რიგს (ხუთასზე) 837 ათასი კაცი შეემატა.

განსაკუთრებით საგანგაშოა „ზედმეტი ადამიანების“ არმიის ზრდა. ახალგაზრდობას შორის დაუსაქმებელია დაახლოებით 600 ათასი 25 წლამდე მოქალაქე.

საკდესის ფოტოქრონიკა.

დაადასტურეს პუერტო-რიკოს დამოუკიდებლობის უფლება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის სპეციალურმა კომიტეტმა დაადასტურა პუერტო-რიკოს ხალხის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის ხელშეუვალი უფლება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის შესაბამისად. სამშაბათს მან მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვა იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობი ბოლო გატანჯული პუერტორიკოელი ხალხი შეძლებს დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი თვითგამორკვევის უფლება მისი სუვერენიტეტისა და სრული პოლიტიკური თანასწორობის მკაფიოდ გამოხატული აღიარების პირობებში.

ამ საკითხის განხილვისას სპეციკომიტეტის სესიაზე გამოვიდა პუერტო-რიკოს საზოგადოებრიობის წარგზავნილთა დიდი ჯგუფი. რომლებმაც დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება მათი სამშობლოს მიმართ.

კუბის, ნიკარაგუის, პანამის, ბულგარეთის, ავსტრალიისა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება დეკოლონიზაციის შესახებ მთლიანად და სრულად ვრცელდება პუერტო-რიკოზე. ამასვე მოწმობს მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობის გადაწყვეტილებანიც, რომლებიც მიიღეს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ჰარარეს შაშნდელ კონფერენციაზე, აგრეთვე მიმდინარე წლის მარტში მიუმხრობელი ქვეყნების საკოორდინაციო ბიუროს ჯორჯთაუნის სხდომაზე, სადაც განიხილეს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების პრობლემები.

◆ გფრ

მოუწოდებენ მთავრობას

ბონი. თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, ბუნდესვერის გადამდგარმა გენერალმა, ვოლფ ფონ ბაუდისინმა დაბეჯითებით მოუწოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას ხელი აიღოს იმ მისწრაფებებზე, რომ დასავლეთ გერმანიის მიწაზე შეინარჩუნოს ამერიკის ბირთვულქობინებებიანი „პერშინგ-1 ა“ 72 რაკეტა. ოფიციალური ბონი, განაცხადა მან გაზეთ „ნოიე ოსნაბრიუკერ ციტუნგისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, კონსტრუქციულ პოზიციას უნდა დაადგეს ამ საკითხში. სწორედ ეს არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისათვის იმის შანსი, რომ ხელი შეუწყოს პროგრესს ბირთვული განიარაღების საქმეში.

ვ. ფონ ბაუდისინის აზრით, „ნატოს წევრი ქვეყნები მიესალმებოდნენ, თუ ოფიციალური ბონი ეტყოდა: „ეს ბირთვულ რაკეტებზე“. „პერშინგ-1 ა“ რაკეტების დატოვება კი საბჭოთა კავშირს სრულ საფუძველს მისცემს აწუხებდეს ფედერაციულ რესპუბლიკაში რეგანმიზმის აღორძინების საფრთხე. ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ელის იზოლაცია და ავტორიტეტის დაკარგვა საერთაშორისო ასპარეზზე, ხაზგასმით აღნიშნა მან.

◆ სამხრეთ კორეა

გაფიცვების მძლავრი ტალღა

ტოკიო. დაახლოებით 90 ახალი გაფიცვა დაიწყო გასული დღე-ღამის მანძილზე სამხრეთ კორეის წამყვან სარეწველო და სატრანსპორტო კომპანიათა საწარმოებში, რომლებსაც უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ყველაზე მწვავე შრომითი კონფლიქტები მოედო. ამჟამად გაფიცული არიან 190-ზე მეტი ქარხნისა და ფაბრიკის მშრომელები. ხელისუფლები არ იტყობინებიან გაფიცვათა მონაწილეების ზუსტ რიცხვს, მაგრამ, პრესის მონაცემებით, იგი 60 ათასს აღემატება. პრაქტიკულად მთლიანად შეწყდა ავტომობილების — სამხრეთ კორეის ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო საქონლის გამოშვება. გასულ სამშაბათს, კერძოდ, კვლავ დაიხურა განუსაზღვრელი ვადით უდიდესი საავტომობილო კომპანიის „ჰენდე მოტორის“ ყველა საწარმო, რომლის მოსამსახურეები მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და ლეგალური დამოუკიდებელი პროფკავშირების შექმნას. მძაფრმა მღელვარებამ მოიცვა ქალაქი ჩანვონი ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, სადაც გაიფიცნენ ექვსი ძირითადი სამრეწველო საწარმოს მუშები.

გაზეთ „ჯაპან ტაიმსის“ მონაცემებით, უკანასკნელი ორი დღეღამის მანძილზე პოლიციასთან შეტაკებების დროს რამდენიმე ათეული ადგილობრივი მცხოვრები დაიჭრა.

საერთაშორისო კომენტარი

მიმდინარე წლის 31 ივლისს საუდის არაბეთის ქალაქ მექაში მომხდარმა შეტაკებებმა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია სპარსეთის ყურის რაიონში. მექაში ჩასულ ირანელ მაჰმადიანებსა და საუდის არაბეთის პოლიციას შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად, ირანის მონაცემებით, დაიღუპა და უკვალოდ დაიკარგა 650 კაცი, 700 ჰოსპიტალზებულია, ხოლო კიდევ 1800-სს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ირანმა ბრალად დასდო საუდის არაბეთის პოლიციას, რომ ცეცხლი დაუშინა მშვიდობიან მლოცველებს. საუდის არაბეთის მთავრობა კი აცხადებს, პოლიციის იარაღი არ უხმარია და შეტაკებები ძირითადად ირანელ და სხვა მაჰმადიანური ქვეყნებიდან ჩასულ მლოცველებს შორის მოხდაო. საუდის არაბეთის ტელევიზიამ აჩვენა დოკუმენტური კადრები, რომლებიც ადასტურებს, რომ კონფლიქტი სწორედ ირანელებმა გამოიწვიეს.

ყველა ეს ფაქტი უკვე აისახა მსოფლიოს ინფორმაციის საშუალებათა ცნობებში, მაგრამ მექაში მომხდარი მოვლენების მიზეზები გაცილებით ღრმად უნდა ვეძებოთ. მრავალი სპეციალისტის აზრით, ისინი იმ მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლინებაა, რომლებიც არაბული და საერთოდ მაჰმადიანური სახელმწიფოების წინაშე დგას, პრობლემა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ირანის ხელმძღვანელობამ, აიათოლა ჰომეინის მეთაურობით, განაცხადა, რომ „ირანში მომხდარი ისლამური რევოლუცია არ შემოიფარგლება ეროვნული ჩარჩოებით

დაუვიწყარი ბიჭვინთური საღამოები

ბიჭვინთის ტაძარი... ამაღლებული განწყობილება, მრავალრიცხოვანი საბჭოთა და უცხოელი მსმენელი ერთსულოვნად უკრავს ტაშს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, გლინკას სახელობის საკავშირო კონკურსის ლაურეატს **ლიანა კალმახელიძეს**, რომელმაც ამ დღეებში აქ მრავალფეროვანი პროგრამა წარმოადგინა ორგანის თანხლებით.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ბახ-გუნოს „ავე მარიამ“, რომელიც განსაკუთრებული ელფერით აჟღერდა ტაძრის თაღებქვეშ. ვოკალურად გამართული, შეკრული, მოცარტისათვის დამახასიათებელი ბგერის ყღერადობით გამოირჩეოდა „ალილუია“. ფაქიზად და კეკლუცად ჟღერდა ა. სკარლატის „ეები“, შთამბეჭდავი იყო ლ. კალმახელიძის მიერ შესრულებული ჰენდელის ურთულესი არია „ნავი აღელვებულ წყალში“ იტალიური კანტატიდან.

საღამოს წარმოდგენილი რეპერტუარი არ შემოფარგლულა მხოლოდ კლასიკური ნაწარმოებებით. აუდიტორიის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ა. მაჭავარიანის „მზეთა მზის სახეო“-მ, და „ბისზე“ შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერამ — „ჩელა“.

აი, კონცერტის დამსწრე ზოგიერთი მსმენელის შთაბეჭდილება:

ჩრდილოეთ ოსეთის სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეზვან ცორიონტი:

— მე ამჟამად სოხუმში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითს სახლ — „ლილეში“ ვისვენებ ოჯახთან ერთად. როცა შევიტყვეთ, რომ ბიჭვინთაში გაიმართება ლიანა კალმახელიძის კონცერტები, სიამოვნებით ჩამოვედით მის მოსასმენად. ლ. კალმახელიძე ბრწყინვალე მომღერალია, აქვს სუფთა ხმა, ფილიგრანული ტექნიკა, ყველაფერმა გაიჟღერა თანაბრად, გამართულად და ლამაზად. მომღერალს აკუნებს გარი კონიავეის ორგანის თანხლება, ბრწყინვალედ აჟღერდა ქართული ხალხური სიმღერა „ჩელა“.

ლიტვის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებელი ედუარდ ოგანესიანი:

— ლიანა კალმახელიძეს აქვს ნათელი, სუფთა ხმის ტემბრი. მისი სიმღერის მანერა ძალზე რბილია. მომიწონა მოცარტის „ალილუია“, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილებები მოახდინა ქართულმა ხალხურმა სიმღერამ „ჩელამ“. თვით მუსიკის ხასიათი ჰარმონიულად არის შეხამებული ორგანის ჟღერადობასთან. უნდა აღინიშნოს მომღერლის შესანიშნავი პარტნიორი გარი კონიაევი. იგი ჩინებული ორგანისტია.

სოფელ ბზიფის მცხოვრები, პენსიონერი ბრიბოლ აუხარუა:

— მუსიკა ახალგაზრდობდანვე მიზიდავს და მიყვარს. ლიანა კალმახელიძის კონცერტებს ადრეც დავსწრებივარ, მაგრამ დღეს მოსმენილმა, დაბეგწილი გემოვნებით და ბრწყინვალედ შესრულებულმა სიმღერებმა ნამდვილად მოგვაჯადოვა მე და ჩემი ოჯახის წევრები.

აფხაზეთის სსრ სახალხო არტისტი ლუდვილა ლოგუა:

— ყველა ნაწარმოები, რომლებსაც ლიანა ასრულებს, გამოირჩევა ნატფი ნიუანსებით. ასეთ გამოსვლებს დიდი სარგებლობა მოაქვს მსმენელებისათვის. ბახის ქმნილებების გარდა იგი შესანიშნავად ასრულებს ქართულ სიმღერებს. საოცარი ის არის, რომ ქართული ნაწარმოებები ჰარმონიულად ეწყმის ორგანის ფაქტურას. ასეთ მომღერლებთან შეხვედრა დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. ლ. კალმახელიძის ვუსურვებ დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს, რის საფუძველი დღევანდელი კონცერტიცაა.

ლიანა კალმახელიძის საშემსრულებლო ხელოვნებას ფართო მაყურებელი გაეცნო ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის წლებში, როდესაც მესამე კურსის სტუდენტი რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი გახდა. შემდეგ მას მოჰყვა კონსერვატორიის წარჩინებით დამთავრება, საოპერო თეატრის დასში ჩარიცხვა, მ. გლინკას სახელობის მეშვიდე საკავშირო კონკურსის ლაურეატობა და, ბოლოს, ლ. კალმახელიძე პირველი ქართველი მომღერალი ქალი იყო, რომელიც მოსკოვის შერჩევით კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ხანგრძლივ სტაჟირებაზე გაიგზავნა იტალიაში — „ლა სკალას“ თეატრში.

ლ. კალმახელიძე აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში. იგი მიწვეული იყო ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც ჩინებულად შეასრულა ვიოლეტას პარტია ვერდის ოპერა „ტრავიატაში“. წარმატებით იმღერა მოსკოვის დიდი თეატრის, მინსკის, რიგის, ერევნის, სვერდლოვსკის, ვორონეჟის და ქვეყნის სხვა საოპერო თეატრებში. იგი აქტიურად მუშაობს კამერული მუსიკის ჟანრშიც. კონცერტები აქვს გამართული დასავლეთ გერმანიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მისი ხმით მოხიბლულან ლენინგრადის, ტალინის და სხვა ქალაქების კლასიკური მუსიკის მოყვარულები. ლიანა მრავალი მუსიკალური ფესტივალის მონაწილეა.

მაყურებელმა ღირსეულად შეაფასა ცნობილი სოლისტის ბიჭვინთური სადამოები, მას უამრავი თაიგული მიართვეს.

ი. გოგელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ა. სააკოვის ფოტო.

მოვლენის ფონ

იაპონელები „ხასანბეგურას“ მღერიან

საინტერესო შეხვედრა გველის ტოკიოს ერთ-ერთ უნიკალურ კოლექტივთან — ფოლკლორულ ანსამბლ „იამასიროგუმისთან“. ეს პირველი არაქართული ვოკალური ანსამბლი, რომელიც სამეცნიერო თვალსაზრისით სწავლობს საქართველოს მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ ფოლკლორს, უკვე ათი წელია გატაცებით ასრულებს და პროპაგანდას უწევს მრავალი საუკუნის მანძილზე შექმნილ ნიმუშებს.

სამოცი სტუდენტი — არაპროფესიონალი მუსიკოსი — გაერთიანა მუსიკალური ფოლკლორის მხურვალე სიყვარულმა. ანსამბლი ატარებს ამ სასიმღერო კოლექტივის ხელმძღვანელის, ცნობილი ბიოფიზიკოსის სიოძი იამასიროს სახელს.

საქართველოს ტელევიზიამ მუსიკის მოყვარულებს შარშან საშეალება მისცა იაპონელთა შესრულებით მოესმინათ სიმღერა „ხასანბეგურა“. ეს სრულიად მოულოდნელი და შესანიშნავი რამ იყო! რამდენიმე ხნის შემდეგ კი მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელი, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი, კინორეჟისორი სოსო ჩხაიძე, მხატვარი ვახტანგ რურუა, როცა ანსამბლ „იამასიროგუმის“ შეხვდნენ ტოკიოში, წერდნენ, რომ იაპონელებს შესრულების განსაკუთრებული, უაღრესად უშუალო მანერა აქვთ. არც კი გვკვირდა, რომ რთულ ქართულ სიმღერებს ასე თავისუფლად ასრულებენ ადამიანები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ საქართველოს. თვით ანსამბლის ხელმძღვანელის იამასირო სანინსა და სტუდენტთა აღტაცებამ ჩვენი ხალხის კულტურით ხელი შეუწყო „ამომავალი მზის“ ქვეყანაში ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლისა და პროპაგანდის თავისებური სამეცნიერო ცენტრის შექმნას. სხვათა შორის, იამასირო-სანმა თავის საგუნდო სიმფონიაში გამოიყენა ქართული ხალხური მუსიკის ელემენტები.

და აი, ანსამბლი „იამასიროგუმი“ ჩვენი სტუმარია. იგი აქ ჩამოდის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მოწვევით. 17 და 18 აგვისტოს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართება ქართული მუსიკის ტოკიოელი მეგობრების კონცერტები. შემდეგ ისინი გამოვლენ თელავში, გორში, წყალტუბოსა და ბათუმში. იაპონელები გამოვლენ აგრეთვე გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდთან, სამტრედიელი დღეგრძელების, სვანეთის სამხატვრო კოლექტივებთან, მახარაძის რაიონის ანსამბლ „ელესასთან“, სოფელ წყავროკის ეთნოგრაფიულ კოლექტივთან ერთად.

იაპონელთა ანსამბლთან ერთად საქართველოში ჩამოდის იაპონიის ინტერნაციონალური სახლის ვიცე-პრეზიდენტი, ქართული კულტურის დიდი მეგობარი, ქალბატონი ჰიროკო კაკო, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ დააარსა ტოკიოში „იაპონია-საქართველოს“ მეგობრობის საზოგადოება.

...ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ ქართული ხალხური სიმღერები— ეს უნიკალური ფენომენი — მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელსა და პროპაგანდისტს იძენს. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამერიკის შეერთებული შტატების იელის უნივერსიტეტის გუნდის თბილისში ახლახან გამართულმა გასოლისტებმა. ველით სხვა ამერიკული კოლექტივის — ქალაქ მინეაპოლისის „ქართული ანსამბლის“ ჩამოსვლასაც.

...გსურთ მიიღოთ დიდი სიამოვნება, მოისმინოთ, თუ რა დიდი ოსტატობითა და შთაგონებით ასრულებენ შორეული ქვეყნის ადამიანები ჩვენი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებს? მაშ, იჩქარეთ მათ კონცერტებზე, ისევე მხურვალე სიყვარულით დაჯილდოვეთ ანსამბლის სოლისტები, როგორიც ისინი არიან განმსჯველი ქართული მუსიკის, მისი კულტურისა და ხალხის მიმართ. (**საქინფორმი**).



ვალი და მოვალეობა

ახალმშენებლობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში

საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიაში ახალი ეტაპი 70-იან წლებში დაიწყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებების საფუძველზე ფართოდ გაიშალა საგზაო კომუნიკაციები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი და ტელესარელეო ხაზების, სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებლო ობიექტების მშენებლობა. ფართო ტერიტორია მოიცვა ხუდონჰესის მშენებლობამ, მიწის სამუშაოები გაიშალა ენგურის შუა და ზემო წელის თითქმის მთელ აუზში.

ახალმშენებლობათა ცარალელურად, ინტენსიურად წარმართა ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შესწავლის, დაცვისა და გამოყენებისათვის საჭირო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა დაეკალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის ექსპედიციას, რომელიც სტაციონარულ გათხრებს აწარმოებს ხუდონჰესის მშენებლობათა გავრცელების ტერიტორიაზე. ამ რეგიონის რთული რელიეფის შესაბამისად, ახლანდელი მოსახლეობა მიმოფანტულია მცირე ტერასებსა და მოვაკებულ ხეობებში პატარ-პატარა სოფლებად, სადაც დაახლოებით საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ ლახამულის, თაგრალისა და სხვა სოფლების მკვიდრნი.

ადრეულ ეპოქებში აქ ცხოვრების არსებობას მხოლოდ ლეგენდები და, სავარაუდო ფორმით, წერილობითი წყაროები მიგვანიშნებს. ამას დაემატა ახალჩასახლებულთა მიერ არქეოლოგიური ნივთების შემთხვევითი აღმოჩენები, რამაც ადრევე მიიქცია ყურადღება, მაგრამ საგანგებო არქეოლოგიური კვლევა-ძიება მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო და გაფართოებდა კიდეც ახალმშენებლობათა განვითარებასთან დაკავშირებით.

ახალმშენებლობათა ტერიტორიებზე მარტო მესტიის რაიონში გამოვლენილია ოცამდე არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა უმრავლესობა დღემდე მოკლებულია სათანადო უწყებათა ყურადღებას, მეტწილად საკანონმდებლო მოვალეობის შეუსრულებლობის გამო. ერთადერთი მშენებლობა, სადაც ძეგლების შესწავლისათვის გარკვეული პირობებია შექმნილი, ხუდონჰესის სამუშაო ტერიტორიაა. აქ აღმოჩენილი ცხრა ძეგლიდან ოთხზე არქეოლოგიური გათხრები მთავრდება, დანარჩენებზე მუშაობა კი გრძელდება.

გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და ამჯერად მხოლოდ შესრულებულ სამუშაოთა ზოგიერთ შედეგს გავაცნობთ მკითხველს.

დადგინდა, რომ ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების დასაწყისში სვანეთი კოლხეთ-ლაზიკის სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და ინტენსიურადაც ყოფილა ჩაბმული სავაჭრო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობებში. ამასთან, ერთგვარი შუამავლის როლსაც ასრულებდა თურმე სამხრეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. განვითარებული ყოფილა მეურნეობის თითქმის ყველა ძირითადი დარგი, მათ შორის მეტალურგია და მხატვრული ხელსანრმა.

მომდევნო ეპოქებში (XIX საუკუნემდე) ხაიშ-ეუბერის ქვეყრაონი, დღემდე უცნობ მიზეზთა გამო, გაუკაცრიელებულია და მხოლოდ აფხაზეთ-სამეგრელოსთან საურთიერთობო გზებია გამოყენებული. გამონაკლისია XI-XIII საუკუნეები, რამაც სამაროვნების, ნასახლარების, საკულტო და სასიმაგრო ნაგებობათა ნაშთების სახით ინტენსიური დასახლების კვალი შემოგვინახა.

ახლად აღმოჩენილ ძეგლებს დიდი მეცნიერული და საჩვენებელი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სვანეთის, არამედ საქართველო-კავკასიის ძველი კულტურისა და ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც. ნივთიერი მასალები დამუშავების შემდეგ მუზეუმებს გადაეცემათ, ხოლო ზოგიერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი კონსერვაცია-რესტავრაციისათვის არის რეკომენდებული, უკვე არსებობს კიდეც რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი დადგენილებები ამის თაობაზე, რომლებითაც რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ჯერ კიდევ 1978 წელს დაევალა ხაიშის ციხე-კოშკისა და ეცერის გორა-ნამოსახლარის რესტავრაცია. არსებობს აგრეთვე ლენტების რაიონისა და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელთა ინიციატივა-შეთანხმება ლენტების ციხის რესტავრაციის თაობაზე. ამ ძეგლის არქეოლოგიური გათხრები სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე დაიწყო.

დიახ, არსებობს არა მარტო ასეთი დადგენილებები და შეთანხმებები, არამედ მათი შეუსრულებლობის უტყუარი ფაქტებიც. საქმეს ვერ უშველის მესტიისა და ლენტეხის რაიონების ხელმძღვანელთა არაერთგზისმა თხოვნამ, რასაც ძეგლთა დაცვის სამმართველო ყოველთვის სიტყვიერი დაპირებით უპასუხებდა. რესტავრატორთა მოსვლის ლოდინში დაზიანდა უკვე დათხრილი და გასამაგრებლად გამზადებული კოპლექსების უნიკალური ნაწილები.

მშენებარე ხუდონჰესის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება კვლავ გრძელდება და კარგი პერსპექტივებიც გამოიკვეთა, რაც იმანაც განსაზღვრა, რომ ამ მშენებლობის დირექციამ და „საქჰიდროპროექტის“ ხელმძღვანელობამ იმთავითვე გულისხმიერი დამოკიდებულება გამოიჩინეს ძეგლების გადარჩენისა და შესწავლისადმი. ისინი ამჟამადაც დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ აქ მომუშავე ექსპედიციას. აქვე მადლობა გვინდა გადაეუხადოთ ხაიშის სატყეო მეურნეობას, რომელიც შეფობს ექსპედიციას, ასევე ხაიშისა და ჭუბერის საშუალო სკოლების კოლექტივებს აქტიური დახმარებისათვის.

სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის სვანეთის ახალმშენებლობათა სხვა მესვეურებზე. მშენებელ ორგანიზაციათა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, რბილად რომ ვთქვათ, აშკარა გულგრილობა გამოიჩინა მატერიალური კულტურის ძეგლთა მიმართ. მესტია-უშგულის გზის გაყვანისას გამოვლინდა და დაზიანდა ბრინჯაოს ხანის სამარაგანი ბაგრეშში და შუა საუკუნეების სამაროვანი უშგულში. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მშენებლებმა ჯერ მიჩქმალეს აღნიშნული ფაქტი, შემდეგ კი სამინისტროს ურეკომენდოდ დატოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წერილობითი თხოვნა დაეფინანსებინა სამუშაო ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამგვარი დამოკიდებულების გამო არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ახალმშენებლობათა ტერიტორიაზე დღემდე ვერ მიიღო გეგმაზომიერი ხასიათი მესტიის რაიონში.

დიდია და მრავალმხრივი სვანეთის ახალმშენებლობათა მნიშვნელობა. საველე-არქეოლოგიური სამუშაოებიც ამ მშენებლობის პერსპექტიულ გეგმასთან უნდა იყოს კოორდინირებული. სვანეთზე პარტიისა და მთავრობის ესოდენ დიდ ზრუნვას ხომ ისიც უდევს საფუძვლად, რომ ამ კუთხემ განსაკუთრებით მრავალად შემოგვინახა მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური ძეგლები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ამ ეროვნული საგანძურის მოფრთხილება მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის, სამსახურებრივთან ერთად, დიდი მოჭალეჭობრივი მოვალეობაც არის.

შ. ჩართოლანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიის რეგიონალური სექტორის ხელმძღვანელი.

ყაბალეგი

დღეს გადამწყვეტი მატჩია

ერთი ტურიანი [illegible] დამთავრდება [illegible] ბირო თასის გათამაშების ერთწრიანი ფინალური შეჯიბრება. მეორე ტურში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს ქუთაისის „ფეხბურთელმა“ და ქალაქ მონინოს სამხედრო-საპატიო აკადემიის გუნდმა. ქუთაისელებმა დაამარცხეს ალმა-ათის ასკ — 13:6, მონინოელებმა კი მოუგეს „კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟტროის“ — 34:6. ამრიგად, ქუთაისელებსაც და მონინოელებსაც ქულათა მაქსიმუმი (6-6) აქვთ და დღეს მათ შორის მატჩში გაირკვევა სსრ კავშირის თასის მფლობელთა ვინაობა. დღესვე ალმაათელები და კრასნოიარსკელები გათამაშებენ მესამე ადგილს.

ჭადრაკის დაფებთან

როგორც ცნობილია, იუგოსლავიის ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში დამთავრებულ მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირზე პრეტენდენტთა შეჯიბრების მხოლოდ ერთი მონაწილის ვინაობა გაირკვა. ეს არის ლვოველი მარტა ლიტინსკაია. ახლა ისიც გახდა ცნობილი, რომ დანარჩენი ორი საგზურისათვის დამატებითი მინი-ტურნირი მიმდინარე წლის სექტემბერს თბილისში გაიმართება. აქ პრეტენდენტთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებისათვის იბრძოლებენ ნონა გაფრინდაშვილი, ირინე ლევიტინა და ჩეხოსლოვაკიელი ელიშკა კლიმოვა.

ასევე ცნობილია, რომ ტუზლაში (იუგოსლავია) დამთავრებულ მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო შეჯიბრებაზე ორი პრეტენდენტის ვინაობა გამოვლინდა. ესენი არიან ქართველი მოჭადრაკეები ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია. და აი, ტუზლაში დაიწყო მესამე საგზურისათვის დამატებითი მატჩი საბჭოთა მოჭადრაკე ლიდია სემენოვასა და პოლონელ ავნიშკა ბრუსტმანს შორის. მატჩი შედგება 6 პარტიისგან. პირველი პარტია გადაიდგა სემიონოვასათვის უკეთეს პოზიციაში, მეორეში კი შავი ფიგურებით გაიმარჯვა ბრუსტმანმ.

ზაგრებში (იუგოსლავია), სადაც მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო შეჯიბრება მიმდინარეობს, რვა ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. ახლა ლიდერთა სამეულში არიან იაან ელვესტი (სსრ კავშირი), ხულიო გრანდა (პერუ) და ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია). მათ მ-მ შესაძლებლიდან 5,5-5,5 ქულა აქვთ. ვიაჩესლავ ეინგორნს ჯერჯერობით მხოლოდ 4 ქულა აქვს. ლევ პოლუგაევსკის კი (ორივე — სსრ კავშირი) — 3,5.

საფურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. ტალინში დაიწყო 56-ე საკავშირო ჩემპიონატი. საქართველოს ჩოგბურთელებიდან პირველი წრის შეხვედრები მოიგეს: ლეილა მესხმა—მოსკოველ ოქსანა ლიფანოვასთან (6:1, 6:0), ირინე მალაკიძემ — ესტონელ კაიე კინდთან (6:4, 6:3), ვლადიმერ გაბრიჩიძემ — კიეველ თიმურ მადიევთან (6:1, 6:1), დავით ცაქარავამ — უკგორეველ სტეფანე სერბაილოსთან (1:6, 6:1, 6:4). ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან მხოლოდ დავით კვარაცხელია დამარცხდა მინსკელ ალექსანდრე დემიდენკოსთან (1:6, 6:7). მეორე წრეში მალაკიძემ წააგო შეხვედრა მოსკოველ ნატალია ბიკოვასთან (2:6, 1:6).

ფეხბურთი. გთავაზობთ უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მეოცე ტურის ერთი მატჩის შედეგს: „მეტალისტი“-„ყაზახთი“— 1:0. ამ ტურის კიდევ ორი შეხვედრა დღეს გაიმართება: „ფალაგორისი“ მიიღებს კიევის „დინამოს“, ხოლო „სპარტაკი“ — მინსკის „დინამოს“.

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩი ქუთაისის „ტორპედომ“ კემეროვოში ადგილობრივ „კუზბასთან“ გამართა და იგი ფრედ დაამთავრა — 1:1. ბათუმის „დინამო“ დღეს მოსკოვში შეხვდება „ლოკომოტივს“.

მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურის შემდეგ კვლავ ერთპიროვნული ლიდერია სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 26 ქულა. მეორე ადგილზეა სოხუმის „დინამო“ (21 ქულა), მესამეზე — ფოთის „კოლხეთი“ (18). თბილისის „შევარდენს“ (სპი) და კიროვაბადის „ქიაფაზს“ 17-17 ქულა აქვთ.

მოსკოვის „სპარტაკმა“ წარმატებით იასპარეზა ესპანეთის ქალაქ ლა-ლინეაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში და ბროლის თასს დაეუფლა. სპარტაკელმა ფეხბურთელებმა თავდაპირველად დამარცხეს „მალიორკა“ (2:0), შემდეგ კი ფინალური შეხვედრა მოუგეს „რეალ-ბოლონპედიკს“ (3:1).

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

სპორტი

ბიჭვინთის ტაძარი... ამაღლებული განწყობილება, მრავალრიცხოვანი საბჭოთა და უცხოელი მსმენელი ერთსულოვნად უკრავს ტაშს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, გლინკას სახელობის საკავშირო კონკურსის ლაურეატს **ლიანა კალმახელიძეს**, რომელმაც ამ დღეებში აქ მრავალფეროვანი პროგრამა წარმოადგინა ორგანის თანხლებით.

ბიჭვინთური საღამოები

სპორტი

„ფუამთოგა“

კვლავ ეწვია აჭარის „ფუამთობა“ — შრომის დღესასწაული, რომლისთვისაც, როგორც ყოველთვის, წინასწარ ემზადებოდნენ.

და აი გაიმართა საზეიმო შეხვედრა. ხულოს, რაიონში ვერხვნალის მთის თვალწარმტაცი პლატო დღესასწაულის ტრადიციული ადგილია. იგი დაამშვენეს თვითმოქმედი მსახიობების გამოსვლებმა. მოცეკვავეებს მომღერლები ცვლიდნენ, მომღერლებს — ხალხური მთქმელები.

მაგრამ, განა რომელი დღესასწაული გაიმართება ისე, თუ არ მოეწყო სპორტული შეჯიბრებები, თუ არ უჩვენეს მისმა მონაწილეებმა თავიანთი ძალა და სიმარჯვე! ჯირითსა და ჭიდაობაში ასპარეზობდა ილი ფუტარა.

ხალხმრავლობა იყო სხვა საზაფხულო საძოვრებზეც. გვიანობამდე ჟღერდა აქ მუსიკა და სიმღერები. (**საქინფორმი**).

ვაჟკაცობისა და მამაცობის სადიდებლად

დამთავრდა დიდი ოქტომბრისა და საბჭოთა მილიციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროომ, აგრეთვე საქართველოს კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირებმა მოაწყვეს.

კონკურსის მოწყობის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში მიიღეს 70-ზე მეტი ლექსი და პოემა, 22 სიმღერა და 9 მარში, რომლებიც უმღერიან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების ვაჟკაცობასა და მამაცობას. ესენია პირველი ტურის გამარჯვებული ნაწარმოებები, რომელიც რეგიონალური მასშტაბით გაიმართა. მათი შემქმნელები ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. საგულისხმოა, რომ კონკურსმა დაინტერესა სულ სხვადასხვა ასაკის — 9-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანები.

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

ალქიმიკოსებს ჩამწარდათ

„ჟიგულის“ მარკის ორი ავტომანქანა დიდი სიჩქარით მიქროდა თბილისი-მანგლისის გზატაკეცილზე. თეთრი წყაროს შნაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა, რომლებიც ოპერატიულ შემოვლაზე იმყოფებოდნენ, საეჭვოდ მიიჩნიეს მათი ჯირითი და სოფელ ორბეთთან გზა გადაუღობეს...

— რა დავაშავეთ, რისთვის გვაჩერებთ? — ერთბაშად ნაწყენის ტონით ისროდნენ სიტყვებს მათი მძღოლები, ხოლო რომელი ოპერატიულმა მუშაკებმა მიუთითეს საბარგული გაეხსნათ, დაიბნენ, ნირი ეცვალათ, ფერფური წაუვიდათ და უმალ ხელფენა-მუდარა მოაყოლეს, ნუ დაგვიუპავთ, ცეცხლზე ნავთს ნუ დაგვიასხამთ, ჩვენც ადამიანები ვართ, ოჯახები გვყავს, პატივისცემა ჩვენზე. ეს ნება... მაგრამ მუდარა ამაო იყო, საქმე კანონის ძალით წარიმართა.

თბილისში, წულუკიძის IV შესახვევში მცხოვრები ვლადიმერ სამადაშვილი და ვახისუბნის დასახლებაში მცხოვრები შალვა თანდაშვილი კარგა ხნის ნაცნობები იყვნენ. ორივენი იოლად ფულის შოვნის დაუოკებელმა სურვილმა დაკავშირა. ასე დაიწყო მათი დანაშაულებრივი საქმიანობა.

თაღლითობით შეძენილ ვაზ-2106 და ვაზ-2163 მარკის ავტომანქანებში, რომელთა სახელმწიფო ნომრებია „გ-69-88 გრ“ და „კ-75-40 გრ“, მათ აღმოაჩინდათ 200 ბოთლი არაყი, რომელთაც ამშვენებდა ეტიკეტი „რუსკაია ვოდკა“. მილიციის მუშაკები ახლა უკვე მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და ფაქტს ბოლომდე მიჰყვნენ.

ამ ვაჟბატონებს თურმე საკუთარი ფირმა გაუხსნიათ. შეიძინეს სპირტი, ეტიკეტები, სათანადო ხელსაწყოები და შეუდგნენ ფალსიფიცირებული არყის დამზადებასა და გასაღებას. არაყი რომ ფალსიფიცირებული იყო, ეს დადგინდა ლაბორატორიული შემოწმებითაც და კერძო ჩხრეკის დროსაც, როცა მათ „საწარმოში“ კიდევ აღმოაჩინდათ 60 ლიტრი სპირტი, 25 ლიტრი ფალსიფიცირებული არაყი და 20 ბოთლი — სარეალიზაციოდ გამზადებული, აგრეთვე 654 ცალი ხუფი და სახურავი მოწყობილობა.

ამის შემდეგ სათქმელი რაღა ჰქონდათ, ბოროტმოქმედებს ენა პირში ჩაუვარდათ.

ალქიმიკოსებს ჩამწარდათ. მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება, დამნაშავეები ანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან, მაგრამ ისმება მრავალი კითხვა: სად ყიდულობდნენ ისინი სპირტს, რომლითაც ამზადებდნენ ფალსიფიცირებულ არაყს? სად ასაღებდნენ ისინი „პროდუქციას“, ვინ ჰყავდათ ხელის დამცველი? ვის უწამლავდნენ სიცოცხლეს? ვინ იფარავდა ვ. სამადაშვილს დროებითი უმუშევრის ნიღბით, რატომ არის მოშვებულობა და უპასუხისმგებლობა ცეკავშირის ავტოსატრანსპორტო საწარმოში, სადაც შ. თანდაშვილი მძღოლად მუშაობდა? ასე რომ არ იყოს, შრომითი კოლექტივის წევრი ასეთ ბოროტმოქმედებაში არ გაეხვეოდა.

ყოველივეს გულდასმით დავადგენთ, — განაცხადა თეთრი წყაროს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ლევან ნადირაძემ. ამ გარეწრებმა ხომ ერთობაშად რამდენიმე დანაშაული ჩაიდინეს. ეწეოდნენ არყის ფალსიფიკაციას, სპეკულაციას და ავრცელებდნენ ალკოჰოლს. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ეს ვაჟბატონები მალე სამსჯავროს წინაშე წარდგებიან და მკაცრად აგებენ პასუხს.

ბ. დავითაძე.

სტიქია და ადამიანები

არა და არ გვწყალობს ბუნება!

კვირას, 9 აგვისტოს დილიდანვე პაპანაქება სიცხე დიეჭირა. ვერცხლისწყლის სვეტმა 40 გრადუსს მიაღწია. ყომრალი ღრუბლებით მოიქუფრა ზეცა და აქაიქ წამოუშხაპუნა კიდეც. ნაშუადღევს წარმოუდგენელი ჭექა-ქუხილი ატყდა და ცამ, რომ იტყვიან, პირი მოირღვია!

თვალსა და ხელს შუა აზვირთდნენ მთის მდინარეები — ნატანების წყალი, ბახვის წყალი, ბეუჟი და სუფსა. მთელი ღამე მძვინვარებდა წარღვნა, და მხოლოდ გამთენიისას შეწყდა სტიქიის შემოტევა.

ერთობ დიდი ზარალი მიადგა მახარაძის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს — დაიტბორა 200 ჰექტარზე მეტი სიმინდის ყანები.

ნატანების წყალი ისე გახელდა, სოფელ ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობაში შევარდა, დაახვრია წყალსატევების სათავე ნაგებობანი და ვეებერთელა წყალგამტარი მილები ჭალაში მიმოფანტა. ლაფით ამოივსო აუზები, კალმახი კი ბობოქარმა ზვირთებმა შთანთქა. სტიქიამ 25 ტონაზე მეტი სასაქონლ